სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138559491214

 # 206

30 / სექტემბერი /
2014 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის №306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს:
ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი №1).
ბ) სასწავლო ცენტრის ტრენერთა/ექსპერტთა კატეგორიებისა და ანაზღაურების შკალა ტრენერის/ ექსპერტის კვალიფიკაციისა და გამოცდილების 1 აკადემიურ საათთან (45 წუთი) თანაფარდობის მიხედვით (დანართი №2).
გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის სილაბუსის რეკვიზიტები (დანართი №3).
დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ტრენინგის დაგეგმვის გრაფიკი (დანართი №4).
2. განისაზღვროს სწავლების სასესიო დრო – 1 სესია 90 წუთი, რომელიც შედგება ორი აკადემიური საათისაგან (45 წუთი).
3. პროფილური, პროფესიული გადამზადებისა და არატიპიური ტრენინგების ტრენერთა ანაზღაურება განისაზღვროს ინდივიდუალურად, მათი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და განსხვავებული სასწავლო მომსახურების გათვალისწინებით.
4. დაევალოს სააგენტოს სასწავლო ცენტრს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვის მიზნით, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშავოს შემდეგი სარეკომენდაციო სასწავლო-მეთოდური და საორგანიზაციო დოკუმენტები:
ა) ტრენინგის მოდულის სილაბუსის ფორმა;
ბ) ტრენინგის მოდულის კურიკულუმის ფორმა;
გ) ტრენერის/ექსპერტის სამუშაო გრაფიკის ფორმა;
დ) ღონისძიების (ტრენინგის, სემინარის, სამუშაო შეხვედრის და სხვ.) მონაწილეთა სარეგისტრაციო ფორმა;
ე) მსმენელთა მიერ, ტრენინგის შეფასების კითხვარი;
ვ) ჩატარებული ღონისძიების (ტრენინგის, სემინარის, სამუშაო შეხვედრის და სხვ.) ანგარიშის ფორმა;
ზ) წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების (ტრენინგის, სემინარის, სამუშაო შეხვედრის და სხვ.) რეესტრის ფორმა.
5. დაევალოს სააგენტოს აპარატს განკარგულების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე